დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
რაინდი როდონაია
წევრ(ებ)ი:
ეკა თაბუაშვილი

ნაწილი I. შესავალი

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციოკოდი	226563377

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გარდაბანი
ფაქტობრივი მისამართი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუხროვანი
საფოსტო ინდექსი	1300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mukhrovani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების	577 97 05 41

ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის N492555 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის N492555 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) და ეკა თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა" და "დ" პუნქტების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება სსიპ-გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ

მუხროვანის საჯარო სკოლის დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი). წარმოების ფარგლებში სკოლამ უზრუნველყო სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
60	40

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზს, დაეთანხმა და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსა ვებგვერდზე. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ სკოლას სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებული აქვს ვებგვერდზე, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ცვლილება ასახა დასკვნაში და სტანდარტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია სკოლამ SWOT ანალიზის, სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი დაგეგმოს იმგვარად, რომ პროცესს არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი და სამუშაო ჯგუფს ჰქონდეს საკმარისი დრო, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების, ასევე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და სამუშაო პროცესის ეფექტიანად წარმართვა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო	ვინაიდან სკოლა არ ახორციელებს სწავლებას საშუალ საფეხურზე, დირექტორის ბრძანებიდან ,,მოსწავლეთ ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, უცხოეთშ მიღებული განათლების აღიარების და სტატუსის შეჩერები წესი“ ამოღებულ იქნეს ის მუხლები, რომელიც შეეხება საშუალ

	კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	საფეხურს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ მისია და ხედვაში ნათლად ჩანს, რომ სკოლა მიზნად ისახავს ჩამოყალიბდეს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოში მრავალმხრივი უნარებისა და ეროვნული ღირებულებების მქონე მოქალაქის აღზრდას. სკოლის მიერ შემუშავებული მისია და ხედვა ასახავს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობის ხელშეწყობას, ასევე აღზარდოს წიგნიერი, შემოქმედებითად და კრიტიკულად მოაზროვნე, ტოლერანტი, ეროვნული ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელიც წარმატებით ინტეგრირდება მუდმივად ცვალებად გარემოში და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას. რაც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის მისია და ხედვა პირდაპირ მიუთითებს უსაფრთხო განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე. მისიის შინაარსში ხაზგასმულია უსაფრთხო გარემო, ხარისხიანი განათლება და მოსწავლეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, რაც ასახავს როგორც უსაფრთხო სივრცის, ასევე სოციალური ფუნქციის გააზრებას. შესაბამისად, სკოლა მისიით და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც დაწესებულება, რომელიც არამხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს, არამედ ზრუნავს უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის შექმნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N2-42 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც შედგებოდა სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. აღნიშნული ბრძანებით შექმნილ ჯგუფს დაევალა სკოლის SWOT ანალიზის, სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება იმავე დღეს, 2023 წლის 15 სექტემბერს, ხოლო სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება მოხდა 2023 წლის 18 სექტემბერს. სკოლის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფისთვის განსაზღვრული დრო არის მეტად არაგონივრული, დროის ეს მცირე მონაკვეთი ვერ უზრუნველყოფდა პროცესის სრულყოფილად წარმართვას და ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებას. **რჩევა:** აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია სკოლამ SWOT ანალიზის, სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი დაგეგმოს იმგვარად, რომ პროცესს არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი და სამუშაო ჯგუფს ჰქონდეს საკმარისი დრო, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების, ასევე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და სამუშაო პროცესის ეფექტიანად წარმართვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი განხილულია სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან, მოსწავლეებთან, სასკოლო თემთან კომუნიკაციის პრაქტიკა, რაც წარმოადგენს გაზიარების საწყის ეტაპს. ამასთან, იკვეთება, რომ აღნიშნული ხედვები გამოყენებულია სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, რაც მიუთითებს, რომ ისინი ინტეგრირებულია სკოლის საქმიანობაში და გაზიარებულია ადმინისტრაციულ და პროფესიულ დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი/ელექტრონული პლატფორმა, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე აღნიშნული დოკუმენტები გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გავრცელების დამადასტურებელი მასალა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლის სახელწოდებაა: „სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლა", რაც შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს- „საჯარო სკოლა". სახელწოდება სწორად ასახავს სკოლის იურიდიულ სტატუსსა და ტერიტორიულ კუთვნილებას და თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებასთან („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ") და 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებასთან („საჯარო სკოლის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ"). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის პროექტის განხილვა)
სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023–2030)
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმი

სკოლის ვებ-გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N2-41 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია". აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული და ერთწლიანი დაგეგმვის ორგანიზების წესს, სამუშაო ჯგუფის როლს და დაგეგმვის პროცესის ეტაპობრივ წარმართვას. დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლები, მშობლები და მოსწავლე, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის არსებობაზე. უნდა მომზადდეს საჭიროებათა შეფასება (SWOT ანალიზი), გაიმართოს სამუშაო შეხვედრები და სასკოლო

საზოგადოების უკუკავშირი გათვალისწინებულ იქნას საბოლოო დოკუმენტებში. ამდენად, სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია „სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების ციკლური გეგმა, 2023-2030 სასწ/წელი“, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით N5, 18.09.2023. დოკუმენტი შვიდწლიანია, რაც პირდაპირ აკმაყოფილებს ინდიკატორის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას. სტრატეგიული გეგმის შესავალ ნაწილში მითითებულია, რომ მისი მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში. ამავე დოკუმენტში ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რის საფუძველზეც შემდგომ ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. ეს მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მასში გაწერილი მიზნები თავსებადია მისიასთანა და ხედვასთან. წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი ციკლურ დაგეგმვაზეც მიანიშნებს, რადგან მისი შესავალი და მეთოდოლოგიური საფუძველი უკავშირდება საჭიროებების შეფასებას, დაგეგმვასა და შემდგომი განვითარების პროცესს. ამგვარად, სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და შეიცავს მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმის შინაარსობრივ ნაწილში აქტივობები მიბმულია სტრატეგიული განვითარების მიმართულებებსა და ამოცანებს, რაც ადასტურებს მის კავშირს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესავალში მითითებულია, რომ სამუშაო ჯგუფმა საჭიროებების შეფასებისა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე განსაზღვრა სკოლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ასევე, ცვლილებების შეტანის, წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის შედეგები, სტრატეგიული და ერთწლიანი დაგეგმვა ეფუძნება შიდა შეფასების პროცესს, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 12 სექტემბერს ჩატარებული შეხვედრის ოქმით N1. სტრატეგიული გეგმის შესავალი და ერთწლიანი გეგმის სტრუქტურა ერთობლიობაში აჩვენებს, რომ სკოლა სამოქმედო გეგმას განიხილავს სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების პროცესთან კავშირში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. ყოველწლიურ თვითშეფასებასთან კავშირი წარმოდგენილია დოკუმენტური აღწერის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და კონკრეტული აქტივობების მიხედვით. აქტივობების გასწვრივ მითითებულია განხორციელების პერიოდი, მოსალოდნელი შედეგები, რესურსი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. მაგალითად, პერსონალის განვითარების, სასწავლო პროცესის მხარდაჭერის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სხვა მიმართულებებით აქტივობები გაწერილია დროის ჭრილში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. ეს მიუთითებს, რომ გეგმა ოპერატიულად არის ჩამოყალიბებული და მისი შესრულება დაკავშირებულია კონკრეტულ ამოცანებთან. ამასთან, გეგმაში გამოყენებულია ისეთი შედეგობრივი ფორმულირებები, როგორიცა ინიციატივების შესასრულებლად განხორციელებული აქტივობები, კითხვარების ანალიზი; გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი; განხორციელებული აქტივობები; ინტეგრირებული თანამშრომლობა, კეთილმოწყობილი გარემო, დირექტორის

მოადგილის ანგარიში; მშობელთა კმაყოფილების კვლევა, შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესება, შიდა სასკოლო ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია" და სხვა, რაც შესრულების გაზომვის შესაძლებლობას იძლევა. რესურსების ნაწილში მითითებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური წყაროები, რაც გეგმას რეალისტურობის ნიშნებს ანიჭებს. ამდენად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე მიბმულ აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესაბამის რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების შესახებ.
სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სამეურვეო საბჭოს ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ეტაპობრივად, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი სამ წელში ერთხელ პასუხისმგებელი პირების ანგარიშგების საფუძველზე, შეფასება კი ეფუძნება შესრულების ინდიკატორების ანალიზს. ასევე გაწერილია სამეურვეო საბჭოს როლი მონიტორინგის პროცესში, რაც მიუთითებს ზედამხედველობის მექანიზმის არსებობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და იგი გაწერილია მეთოდოლოგიურ დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას მისიის, ხედვის, ღირებულების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. შედეგები განიხილება და თანხმდება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობის წესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N2/17; 12.09.2025). აღნიშნული ჯგუფის შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 30 დეკემბერს, სადაც დეტალურად იქნა განხილული სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხი, შედეგები მიწოდებულ იქნა სასკოლო საზოგადოებასთან, რათა გათვალისწინებულ იქნეს შესაბამის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ უნდა გავრცელდეს, მათ შორის სკოლის ვებ-გვერდის, საინფორმაციო რესურსებისა და

შეხვედრების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თუმცა ის არ იყო განთავსებული ვებგვერდზე და შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი მისი საჯაროობა. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში განათავსა ვებგვერდზე. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე, სკოლაში დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე, ასევე მათი სოციალიზაციის უკეთ წარმართვის პროცედურებზე. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულ იქნა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, კერძოდ, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი საინტერესო აქტივობა. სამოქმედო გეგმის შედეგებს სკოლა განიხილავს ასევე პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და კათედრის სხდომებზე, რის შემდეგაც შედეგებს ითვალისწინებს შემდგომ სამუშაო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სამუშაო ჯგუფის ოქმი 30.12.2025
სამეურვეო საბჭოს ოქმი 9.09.2024

სკოლისდირექტორის 2023წლის 15 სექტემბრის N2-42 ბრძანება,სამუშაოჯგუფისდაკომპლექტების შესახებ.
სკოლის დირექტორის 2023წლის 15 სექტემბრის N2-41 ბრძანება მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5, 18.09.2023.
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომა N4
მშობელთა კითხვარები
ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების", ,,მოსწავლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა", სასკოლო სასწავლო გეგმის, რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქციითა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით. ბრძანებაში ,,მოსწავლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა", აღწერილია მოსწავლისა და მშობლის უფლება-მოვალეობები და სკოლის ფუნქცია-მოვალეობები. შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები. სკოლის შიდა რეგულაციებით თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ასევე გამოქვეყნებულია ვებგვერდზე. მოსწავლის მობილობის ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ადმინისტრაცია მშობელებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, ინფორმაციის გაზიარება ასევე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელების მეშვეობით, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, სასწავლო და დასვენების, ასევე უქმე დღეების შესახებ ინფორმაცია, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები

რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქცია

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და სტატუსის შეჩერების წესი". ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. **რჩევა:** ვინაიდან სკოლა არ ახორციელებს სწავლებას საშუალო საფეხურზე, დირექტორის ბრძანებიდან ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და სტატუსის შეჩერების წესი" ამოღებულ იქნეს ის მუხლები, რომელიც შეეხება საშუალო საფეხურს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ", ,,მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ", ,,მოსწავლის მობილობისა" და ,,მოსწავლის ამორიცხვის შესახებ" სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო სასწავლო გეგმას და შინაგანაწესში განსაზღვრულია სკოლას მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელება ძირითადად ხდება სოციალური ქსელების საშუალებით და მშობლებთან შეხვედრების დროს, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს სკოლაში

მიმდინარე სიახლეები. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ძირითადად ვებგვერდის, ელფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით, ინფორმაციის გავრცელება ასევე ხდება დამრიგებლების მიერ მშობლებთან შეხვედრების დროს. ინფორმაციის გავრცელების დროს სკოლა ზრუნავს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად არის განახლებული, ყველა დაინტერესებული პირისთვის გასაგები და თანაბრად ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შინაგანაწესი

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი

ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე

ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე

ბრძანება მოსწავლის მობილობის შესახებ

მშობელთა კრების ოქმები

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები, ასევე ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ბრძანება შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრულ ღონისძიებებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციის მექანიზმებს. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის მშობელთან ერთად სასკოლო გარემოს დათვალიერებას, მასწავლებელთა გაცნობას. სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და ინდივიდუალურად უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები. მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად. სკოლას შემუშავებული აქვს ,,რემედიაციის წესი“, რომელიც წარმოადგენს მოსწავლის მხარდამჭერ საგანმანათლებლო პროცესს და მიზნად ისახავს სასწავლო სირთულეების დაძლევას, აკადემიური შედეგების გაუმჯობესებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევების ხელშეწყობას. სკოლის მიერ რემედიაციის პროგრამის ამოქმედება გახდა საჭირო დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდებისა და მობილობის შესახებ. სკოლაში ექსტერნატის გამოცდების

ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ ინფორმაცია დროულად განთავსდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას ჰყავს არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც თვითმმართველობის დებულების შესაბამისად ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას მათი ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, ასევე ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სამოქალაქო, საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებს. სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება, თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება და სკოლისა და თემის ურთიერთობის მხარდაჭერა. თვითმმართველობის გეგმაში ასევე გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი ისეთი აქტივობები, როგორიცაა: გარემოს დაცვის აქცია, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, საქველმოქმედო აქტივობა, სპორტული ტურნირის ორგანიზება და სხვა. სკოლაში ასევე მოქმედებს კლუბი სახელწოდებით ,,ჯანსაღი ცხოვრება“, რომლის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესზე ცნობიერების დონის ამაღლება და ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა შემუშავებული კითხვარების საშუალებით ატარებს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვას, რომელსაც იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, სოციალური ქსელებიდან, ასევე მშობლებთან შეხვედრების დროს იღებს უკუკავშირს, რის შემდეგაც მიღებულ ინფორმაციას მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ითვალისწინებს სკოლის შემდგომ საქმიანობაში. **შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო სასწავლო გეგმა
რემედიაციის წესი
მშობელთა კრების ოქმი
კითხვარი
თვითმმართველობის ოქმები
თვითმმართველობის დებულება
თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა
საქველმოქმედო პროექტი
კლუბის წესდება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია სკოლის თითოეული მოსწავლისთვის. სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვისა და შემდეგში შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ეხმარება მოსწავლეებს პროფესიული უნარების სწორად განსაზღვრაში. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან, ხშირად ტარდება შეხვედრები, სადაც კოლეჯების წარმომადგენლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიების შესახებ. კლასის დამრიგებლებთან ერთად ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, მაგალითად:

განხორციელდა პროექტი- “მე მომავალში”, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა პროფესიების გაცნობა, მათი როლის გაცნობიერება საზოგადოების განვითარებაში, საკუთარი ინტერესების და უნარების აღმოჩენა და გონივრული არჩევანის გაკეთება პროფესიის არჩევის დროს. ასევე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა-ლიცეუმის წარმომადგენლებთან, შეხვედრის ფარგლებში მოსწავლეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ამომწურავი ინფორმაცია სკოლის მისიის, სასწავლო პროგრამების, მიღების პირობებისა და იმ შესაძლებლობების შესახებ, რასაც კადეტთა სკოლა სთავაზობს ახალგაზრდებს. მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაესვათ კითხვები და მიეღოთ დეტალური პასუხები, რაც დაეხმარათ უკეთ გაეცნონ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მნიშვნელობასა და პერსპექტივებს. მსგავსი შეხვედრები ეხმარება მოსწავლეებს პროფესიულ ორიენტაციასა და სწორი არჩევანის გაკეთებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ზრუნავს, რათა მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელს, საინფორმაციო დაფასა და მშობლებთან შეხვედრებს. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა კარიერულ დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს გეგმავს მოსწავლეების სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა კითხვარების საშუალებით ცდილობს წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი პროფესიები აინტერესებთ მათ, რათა უფრო მიზნობრივი იყოს სკოლის მიერ დაგეგმილი

აქტივობები. მიღებული მონაცემების შეფასების საფუძველზე კი სკოლა შეიმუშავებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
პროექტები
შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა
კითხვარები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები“, რომელიც შეიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირების წესს და სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის მზაობას საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებზე ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესსა და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლას აქვს მზაობა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვისთანავე ან მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისთანავე განახორციელონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 11/06/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: